



ორგანიზაციის კონტექსტი The Context of the Organization

წინასიტყვაობა

1. შემუშავებულია შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის რუსუდან დიასამიძის, პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსის გურამ ქათამაძის და მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსის ვლადიმერ ბოგდანოვის მიერ;
2. დამტკიცებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის გენერალური დირექტორის მიერ (2022 წლის 17 იანვრის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N 01; 2022 წლის 17 იანვრის გენერალური დირექტორის ბრძანება N 08-02/22);
3. ძალაშია დამტკიცების მომენტიდან;
4. პერიოდული შემოწმება წარმოებს არაუმეტეს 12 თვის ინტერვალით;
5. ცვლილებათა შემუშავება ხდება შპს ბუსსს ანრიში წინამდებარე დოკუმენტის გამოყენების შედეგების მიხედვით ან იმ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების შეცვლისას, რომელთა საფუძველზეც არის შემუშავებული წინამდებარე კონტექსტი;
6. წინამდებარე კონტექსტი ძალას კარგავს ახალი კონტექსტის დამტკიცების შემთხვევაში.



ორგანიზაციის კონტექსტი
The Context of the Organization

შინაარსი

1. გავრცელების სფერო	5
2. ნორმატიული მითითებები	5
3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები	5
4. ორგანიზაციის და მისი კონტექსტის გააზრება	6
5. ორგანიზაციის განვითარებაზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორები.....	7
6. ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების გაანალიზება	11
7. დაინტერესებული მხარეების საჭიროების და მოლოდინის გააზრება	14
8. კონფიდენციალობა	19
9. პერიოდული შემოწმების აღრიცხვის ფურცელი	20
10. გაცნობის ფურცელი	21
11. შეთანხმების ფურცელი	23



ორგანიზაციის კონტექსტი The Context of the Organization

1. გავრცელების სფერო

- 1.1 წინამდებარე ორგანიზაციის კონტექსტი ადგენს შიდა და გარე ფაქტორებს, რომლებიც დაკავშირებულია მის დანიშნულებასთან და სტრატეგიულ მიმართულებასთან და რომლებიც გავლენას ახდენენ ორგანიზაციის შესაძლებლობაზე, რათა მიაღწიოს ხარისხის მართვის სისტემის განზრახულ შედეგებს.
- 1.2 წინამდებარე ორგანიზაციის კონტექსტი წარმოადგენს ნორმატიულ დოკუმენტს და ვრცელდება შპს ბუსსს ანრის ყველა თანამშრომელზე.
- 1.3 ორგანიზაციის კონტექსტის აღრიცხული ეგზემპლიარები ინახება:
 - ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურში (როგორც მყარი, ასევე ელ.ვერსია);
 - ხელმისაწვდომია ყველა განყოფილებისთვის შიდა ქსელის მეშვეობით და განთავსებულია ვებ-გვერდზე;
- 1.4 ორგანიზაციის კონტექსტის დასაფაზავნი ეგზემპლიარების მოძიება და დაგზავნა ხდება ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

2. ნორმატიული მითითებები

ორგანიზაციის კონტექსტის შემუშავებისას გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები:

1. სს ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. მოთხოვნები;
2. სს ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
3. ნდ №2-010101 - შპს ბუსსს ანრის წესდება;
4. ნდ N2-020101 – შპს ბუსსს ანრის ხარისხის სახელმძღვანელო;
5. ნდ 2-0201-01- დოკუმენტთა და მონაცემთა მართვის პროცედურა.

3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები

კონტექსტში გამოყენებულია შემდეგი ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები:

3.1 ტერმინები, განმარტებები



ორგანიზაციის კონტექსტი The Context of the Organization

1. დოკუმენტის პერიოდული შემოწმება - ემედება რომელიც ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის განხილვას, რათა განისაზღვროს საჭიროა თუ არა მისი ხელახალი დამტკიცება, გაუქმება;
2. ნორმატიული დოკუმენტი (ნდ) - დოკუმენტი რომელიც ადგენს წესებს საერთო პრინციპებს ან მახასიათებლებს გარკვეული მოღვაწეობის სფეროსათვის;
3. ცვლილებები - ნორმატიული დოკუმენტის განსაზღვრული ფრაგმენტის დამატება ან გამორიცხვა, მოდიფიკაცია;
4. ხარისხის სამსახური - ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური;

3.2 შემოკლებები

1. ბუსსს ანრი (სასწავლებელი) - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი;
2. საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო;
3. მფ - მოქმედი ფორმა
4. ნდ - ნორმატიული დოკუმენტი
5. ხმს - ხარისხის მართვის სისტემა

4. ორგანიზაციის და მისი კონტექსტის გააზრება

4.1 ბუსსს ანრის ხარისხის მართვის სისტემა მოიცავს ბუსსს ანრიში სისტემატურ საფუძველზე მოქმედ შემდეგ ფუნდამენტალურ პროცესებს:

- პროფესიული განათლებით სპეციალისტების მომზადება საერთაშორისო და ეროვნული მოთხოვნების შესაბამისად;
- მეზღვაურთა გადამზადება და სერტიფიცირება საერთაშორისო და ეროვნული მოთხოვნების შესაბამისად.

4.2 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი დაფუძნდა 2005 წლის აგვისტოში, როგორც შპს „საზღვაო სასწავლო“



ორგანიზაციის კონტექსტი The Context of the Organization

ცენტრი ანრი“, 2014 წლის 01 ივლისიდან შეიცვალა სახელწოდება და ეწოდება შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი.

2021 წლის 19 ნოემბრის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს MES 7 21 0001249724 გადაწყვეტილებით შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის 6 წლის ვადით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. სსიპ საზღვაოტრანსპორტის სააგენტოს მიერ აღიარებულია 5 წლის ვადით, როგორც საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულება (2021 წლის 05 ოქტომბერს აღიარების სერტიფიკატი №003/2021).

ბუსსს ანრიში საქმისწარმოების, დოკუმენტაციის მართვის ძირითადი ენა არის სახელმწიფო ენა - ქართული, ხოლო დამატებითი ინგლისური და რუსული.

შპს ბუსსს ანრის იურიდიული მისამართი 6010, ქ.ბათუმი ხიმშიაშვილის ქ. №11/4;

შპს ბუსსს ანრის ფაქტიური მისამართი 6010, ქ.ბათუმი დ.მამულაძის ქ. №6 ;

საკონტაქტო ტელეფონები: +995 422 244411; +995 422 244422; მობ: +995 579 23 44 99; +995 579 79 99 44 .

5. ორგანიზაციის განვითარებაზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორები

ორგანიზაციის განვითარებაზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორების ანალიზის შედეგად გამოვლინდა:

5.1 ორგანიზაციის განვითარებაზე მოქმედი შიდა ფაქტორები

შიდა ფაქტორები მიეკუთვნება ბუსსს ანრის საქმიანობის სფეროს და წარმოადგენს ბუსსს ანრის მენეჯმენტის უშუალო ზეგავლენის სფეროს. შიდა ფაქტორებს მიეკუთვნება ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები, მათ შორის

➤ შიდა გარემოს ეკონომიკური ფაქტორების განსაზღვრის ბაზას წარმოადგენს ბუსსს ანრის ეკონომიკური პოტენციალის არსებობა, რაშიც მოიაზრება ბუსსს ანრის რესურსების და შესაძლებლობების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ სასწავლებლის საქმიანობის პერსპექტივებს სხვადასხვა გარე პირობების შექმნისას.

ძირითადი ფაქტორია - ტექნიკური განვითარების დაფინანსების საკუთარი წყაროების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ტექნოლოგიების არსებობა, რაც უზრუნველყოფს



ორგანიზაციის კონტექსტი The Context of the Organization

საგანმანათლებლო და შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობას, ბუსსს ანრის კონკურენტინარიანობას და საგანმანათლებლო მომსახურებით მომხმარებელთა დაინტერესებას. ბუსსს ანრის საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანობაზე მოქმედებს პარტნიორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან (სტუდენტები, მსმენელები, დამსაქმებლები და სხვა) სტაბილური ურთიერთობების არსებობა, რაც უზრუნველყოფს გარე სამყაროსთან საიმედო კავშირებს;

- შიდა სოციალურ ფაქტორებს მიეკუთვნება: ბუსსს ანრის ხელმძღვანელობის და თანამშრომლების კომპეტენტურობის დონე; თანამშრომელთა სოციალური დაცულობის და წახალისების შესაძლებლობა; თანამშრომელთა თვითრეალიზაციის უზრუნველყოფა; ყველასთვის კომფორტული გარემო.

შიდა ფაქტორები

1. პოლიტიკა და მიზნები
2. პერსონალი (მოწვევა, მომზადება, გადამზადება, კვალიფიკაცია, პიარი, წახალისება და ა.შ.)
3. ინფრასტრუქტურა (ტექნოლოგიები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ა.შ.)
4. სამუშაო გარემო
5. ორგანიზაციული სტრუქტურა (შიდა კომუნიკაციური ფუნქციები, პროცესური მიდგომა, ოპერატიულობა, ვადების დაცვა, ხელმძღვანელობა და ა.შ.)
6. ფინანსები
7. ანალიზი, შეფასება
8. ორგანიზაციული კულტურა/ეთიკური ნორმები

5.2 ორგანიზაციის განვითარებაზე მოქმედი გარე ფაქტორები

გარე ფაქტორების ანალიზმა აჩვენა, რომ გარემო არის არასტაბილური, რასაც განაპირობებენ შემდეგი ფაქტორები:

- ავტორიზაციის დაკარგვა;
- ჯანმრთელობისათვის ზიანის მომყენებელი ვირუსების გავრცელება;



ორგანიზაციის კონტექსტი The Context of the Organization

- ფორს-მაჟორული სიტუაციების უარყოფითი ზეგავლენა, მათთან გამკლავების შესაძლებლობების არ არსებობის გამო;
- ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა.
- ინფლაციური პროცესები (რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს სწავლის, მომზადების საფასურის გაზრდა და მოსახლეობის გადახდისუნარიანობის შემცირება);
- აპლიკანტთა მომზადების დაბალი დონე;
- საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე რეფორმებით გამოწვეული ცვლილებები;
- სახელმწიფოს მხრიდან კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის პოლიტიკის არარსებობა;
- მაღალი კონკურენცია;
- კერძო და საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებების არათანაბარ პირობებში ყოფნა;
- სწრაფი ტექნიკური პროგრესი, რომელიც იწვევს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ინფრასტრუქტურის ხშირ განახლებას;
- პოტენციური დამსაქმებლების მცირე რაოდენობა და მათი დაინტერესების არასაკმარისი დონე.
- შრომითი რესურსების (საშტატო პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, ინსტრუქტორები) უკმარისობა;
- რისკებზე დაფუძნებული აზროვნება

გარე

1. ეკონომიკური ფაქტორები
2. პოლიტიკური ფაქტორები
3. კონკურენტები
4. ნორმატიული ბაზა
5. მომხმარებელი
6. მომწოდებლები (გარე)
7. ახალი ტექნოლოგიები
8. შეფასება



ორგანიზაციის კონტექსტი The Context of the Organization

❖ ბუსსს ანრის კონკურენტები:

- სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;
- შპს “ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი”;
- შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“;
- სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალის საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი;
- შპს ქუალშიფ ჯეორჯია;
- შპს "მერიდიან მერიტაიმ თრეინინგ სენტერ";
- შპს "მედიქლაბჯორჯია"-ს სასწავლო რესურს ცენტრი

❖ გარე მარეგულირებელი ორგანოები:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
- სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

❖ მომსახურების მომწოდებლები:

შპს „რუსული რეგისტრი-ვესტჯორჯია“, სანდრო გიუნაშვილი, შპს გეპა, საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია გრენა, შპს დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ასოციაცია, Akademi Denizcilik danishman, შპს მმს გრუპი, შპს „ბაინდერები“, მზია ბაკურიძე, ი/მ „ბადრი გორაძე“, შპს ბლექ სი შიპინგ რეჯისტრ, სს „სილქნეტი“, შპს „Innovate Systems Management“, შპს ვიონი საქართველო, სს „სადაზღვეო კომპანია ალდაგი“, შპს „ლოგიკა“, შპს “Georgian Veritas”, შპს მობილ ოილი, შპს მედალისტი, შპს „გაზეთი ბათუმელები“, შპს „ახალი განათლება“, Wartsila Voyage limited, ი/მ ზაზა კახიძე, დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო, სს ეპ ჯორჯია, პოლიგრაფსერვისი, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი, შპს სანდასუფთავება, საქართველოს ფოსტა, შპს fin exp corporation, შპს ბათუმის წყალი, შპს დასაქმების სააგენტო ეიჩარი, შპს ექსპრეს ბათუმი, შპს ინთერნეშნალ სეილს ინსტიტუტი, შპს მაგთიკომ, ააიპ საქართველოს კონსულტირების ასოციაცია, შპს სოკარ ჯორჯია გაზი აჭარა, შპს პროსერვისი, შპს პროფ დეზ ჯგუფი, შპს სახანძრო უსაფრთხოება,



ორგანიზაციის კონტექსტი The Context of the Organization

შპს ჯორჯიან სთორი, შპს ჰოსტი ჯი, ჯორჯიან სერვის ნეთვორქი, შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“, შპს ნებაყოფლობითი სახანძრო.

6. ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების გაანალიზება

Strength, Weakness, Opportunity, Threat (SWOT)

ბუსსს ანრის შეფასებისა და ანალიზისათვის გამოყენებულ იქნა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდი - SWOT ანალიზი.

აღნიშნული ანალიზის საფუძველზე გამოვლენილ იქნა ბუსსს ანრის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები.

სუსტი მხარეების დაძლევისთვის და ბუსსს ანრის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისთვის აუცილებელია ყველა არსებული შესაძლებლობების გამოყენება, რითაც იქნება შესაძლებელი საფრთხეების შემცირება ან თავიდან აცილება. საფრთხეების უარყოფითი გავლენის შემცირება ან შესუსტება შესაძლებელია რეალიზებული შესაძლებლობების ძლიერი დადებითი გავლენით.

ძლიერი მხარეები - Strengths	სუსტი მხარეები - Weaknesses
<ul style="list-style-type: none"> ➤ მრავალწლიანი ტრადიცია და დარგობრივი განათლების განხორციელების გამოცდილება; ➤ პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლება; ➤ სტაბილურობა და ინსტიტუციური მდგრადობა, სიახლეებისადმი ღიაობა; ➤ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა (ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მოთხოვნებთან შესაბამისობის, დადასტურების სერტიფიკატები); ➤ თანამშრომლობა საგანმანათლებლო 	<ul style="list-style-type: none"> ➤ შეზღუდული გავლენა საგანმანათლებლო პოლიტიკის ფორმირებაზე; ➤ ინტერნაციონალიზაციის არასაკმარისო დონე; ➤ ინგლისური ენის დაბალი ცოდნის დონე პროფესიულ სტუდენტებში; ➤ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ახალგაზრდა სპეციალისტების ნაკლებობა და უცხოელი სპეციალისტების არარსებობა; ➤ პროფესიული სტუდენტების ნაკლები ინტერესი მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა



ორგანიზაციის კონტექსტი
The Context of the Organization

<p>დაწესებულებებთან, საკრუინგო და გემთმფლობელ კომპანიებთან;</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ დარგობრივი განათლების განხორციელებაზე ადაპტირებული სასწავლო გარემო; ➤ მაღალკვალიფიციური და სტაბილური ადმინისტრაციული, დამხმარე და მოწვეული პერსონალი; ➤ პროფესიული გამოცდილების მოქნე პრაქტიკოსი სპეციალისტების ჩართულობა სასწავლო პროცესში; ➤ თანამშრომლობა და პარტნიორობა რეგიონისა და მსოფლიოს წარმატებულ დამსაქმებლებთან; ➤ სწავლების სუბიექტზე ორიენტირებული გარემო, მათი ინტერესების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინება; ➤ პროფესიული სტუდენტების საცხოვრებლით უზრუნველყოფა; ➤ ელექტრონული საბიბლიოთეკო ქსელის წევრობა; ➤ დისტანციური სწავლებისა და მუშაობის გამოცდილი მექანიზმი; ელ. სწავლების გამართული სისტემა 	<p>სტუდენტურ აქტივობებში;</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ დამსაქმებლების ნაკლები ჩართულობა სასწავლო პროგრამების შედგენაში; ➤ მოქმედი მეზღვაურების რიგიდან ინსტრუქტორების და პროფესიული განათლების მასწავლებლების სიმცირე; ➤ სასწავლო პროცესის მიღმა საქმიანობით პროფესიული სტუდენტების არასაკმარისი დაინტერესება; ➤ პერსონალის მხრიდან სხვადასხვა პროექტების მომზადების, პროფესიული სტუდენტებისათვის და პერსონალისათვის ტრენინგების, საჯარო ლექციების, მასტერ კლასების განხორციელების სიმცირე.
<p>შესაძლებლობები -Opportunities</p>	<p>საფრთხეები - Threats</p>
<ul style="list-style-type: none"> • გაუთვალისწინებელ სიტუაციებში ორგანიზებული, ჯგუფური მუშაობა; 	<ul style="list-style-type: none"> • ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან შეუსაბამისობა;



ორგანიზაციის კონტექსტი The Context of the Organization

<ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო, საწვრთნელი საქმიანობის რეავტორიზაციის, აღიარების მიღების შემთხვევაში შემდგომი თანმიმდევრული განვითარება; • მართვის სისტემის და საორგანიზაციო სტრუქტურის შემდგომი განვითარება; • დამსაქმებელთა მოთხოვნების, თანამედროვე ტენდენციების და საგანმანათლებლო მომსახურების მომხმარებელთა მოლოდინების გათვალისწინებით მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება, განხორციელება. • პროფესიულ კურსდამთავრებულთა და მეზღვაურთა კონკურენტუნარიანობის გაზრდა; • სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა; • პერსონალის პროფესიული და პიროვნული კომპეტენციების ხარისხის განვითარება; • შრომის ეფექტიანობის და შრომის მოტივაციის გაზრდა; • ინფრასტრუქტურის, მატერიალური რესურსების განვითარება; • ბუსსს ანრის საზოგადოებრივი საქმიანობის გააქტიურება რეგიონის ცხოვრებაში ჩართულობით; • მმართველობითი, ადმინისტრაციული, 	<ul style="list-style-type: none"> • ავტორიზაციის დაკარგვა; • საწვრთნელი ცენტრის აღიარების დაკარგვა; • საგანმანათლებლო სფეროში არსებული მაღალი კონკურენცია და მისი ყოველწლიური ზრდა; • მეზღვაურთა მომზადების/გადამზადების სფეროში არსებული მაღალი კონკურენცია; • არაჯანსაღი კონკურენტული გარემო. არათანაბარ პირობებში ყოფნა სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, (ბუსსს ანრის ანალოგიურ საგანმანათლებლო პროდუქტზე სწავლის საფასურის დაწევა და ამით მოთხოვნადობის ზრდა); • ახალგაზრდა და/ ან გაწვრთნილი პერსონალის ნაკლებობა; • პერსონალის თვითგანვითარების არასაკმარისი აქტივობა, სამსახურებრივი ფუნქციების არასათანადოდ შესრულება; • ინფრასტრუქტურის შენახვის მაღალი ხარჯები; • პროფესიული სტუდენტების, მსმენელების რიცხვის შემცირება; • ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა. მოსახლეობის დაბალი გადახდისუნარიანობა. • ბუსსს ანრის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებების განუვითარებლობა • საწვრთნელი პროცესის დროს ტექნიკური
--	--



ორგანიზაციის კონტექსტი The Context of the Organization

საგანმანათლებლო, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო საქმიანობის სრულყოფა; • დამსაქმებლებთან თანამშრომლობის განვითარება; • ბუსსს ანრის პოპულარიზაცია; • ბუსსს ანრის სტაბილურობა და კონკურენტუნარიანობა; • ბუსსს ანრის რეპუტაციის და დადებითი იმიჯის გამყარება.	უსაფრთხოების დაუცველობა; • პროფესიული სტუდენტების მომავალ დასაქმებაში უზრუნველყოფის ნაკლებობა.
---	---

7. დაინტერესებული მხარეების საჭიროების და მოლოდინის გააზრება

ბუსსს ანრის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მომხმარებლის მოთხოვნათა მოლოდინის განსაზღვრას, ამ მოლოდინის მოთხოვნებად გარდაქმნას და პერსონალისთვის შესასრულებლად აუცილებელის გახდომას შემდეგი მეთოდებით:

- ✓ როგორც არსებულის ასევე პოტენციური მომხმარებლების მოთხოვნებისა და მოლოდინის შესწავლა;
- ✓ საკანონმდებლო და ნორმატიული მოთხოვნების შესწავლა;
- ✓ მომსახურების ხასიათის შესწავლა;
- ✓ მომხმარებლებთან უშუალო კონტაქტი;
- ✓ პროტენზიების წარმოქმნის მიზეზების ანალიზი;
- ✓ მომხმარებლის მოთხოვნებზე დამყარებული მოთხოვნების დანერგვა ნორმატიულ დოკუმენტებში.

თვითშეფასების პროცესი მოიაზრებს დაინტერესებულ მხარეთა აზრის შესწავლას გამოკითხვის და/ან გასაუბრების მეთოდით და ბუსსს ანრიში არსებული ვითარების შეფასებას მონიტორინგის გზით.

7.1 ბუსსს ანრით დაინტერესებული მხარეები:

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო;



ორგანიზაციის კონტექსტი The Context of the Organization

- ბუსსს ანრის პერსონალი (ადმინისტრაციული და დახმარე);
- პროგრამების განმახორციელებლები (მოწვეული სპეციალისტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, საწვრთნელი კურსების ინსტრუქტორები);
- სწავლების სუბიექტები (პროფესიული სტუდენტები, მსმენელები);
- კურსდამთავრებულები (პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულები, სასწავლო-საწვრთნელი კურსების კურსდამთავრებულები).
- პოტენციური დამსაქმებლები: საკრუინგო და გემთფლობელი კომპანიები, საზღვაო სატრანსპორტო კომპანიები, საზღვაო ნავსადგურები, ტერმინალები და სხვა.

7.2 ბუსსს ანრის პარტნიორი დაწესებულებები

- ✓ ააიპ პროფესიული კოლეჯი „იკარუსი“
- ✓ შპს „გლობალ სერვის კონსალტ“
- ✓ შპს „ევროპული გზა“
- ✓ შპს „ყაზახეთის გამოყენებითი ეკოლოგიის სააგენტო“
- ✓ შპს ბათუმის საზღვაო ნავსადგური
- ✓ ა(ა) იპ საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაცია
- ✓ ახალი ევროპის უნივერსიტეტების ალიანსი
- ✓ შპს „მმს გრუპი“
- ✓ შპს „თეგეტა აკადემია“
- ✓ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ✓ შპს Innovative Systems Management”
- ✓ შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია
- ✓ საქართველოს პროფესიული კონსულტირების ასოციაცია
- ✓ სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო
- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
- ✓ Odessa State Environmental University
- ✓ International University of Kyrgystan
- ✓ Odessa National Maritime University
- ✓ Constanta Maritime University



ორგანიზაციის კონტექსტი The Context of the Organization

7.3 დარგობრივი ორგანიზაციები:

- ✓ საკრუინგო კომპანია Alliance Crew Agency, Ltd
- ✓ საკრუინგო კომპანია Atlanta Georgia, LLC
- ✓ საკრუინგო კომპანია შპს „კრევლანდ - CREWLAND“
- ✓ საკრუინგო კომპანია შპს „GEMINI“
- ✓ საკრუინგო კომპანია “Geobridge K”
- ✓ საკრუინგო სააგენტო “Lords of Sea”
- ✓ საკრუინგო კომპანია POSEIDON AGENCY, LLC
- ✓ საზღვაო-სატრენინგო ცენტრი და საკრუინგო სააგენტო შპს „სიიგოლდ“
- ✓ საკრუინგო კომპანია შპს ვეგა მარინ
- ✓ თ/მ გემზე “AKHTIAR -ის მფლობელი კომპანია LTD LMNT

7.4 ბუსსს ანრი გაწევრიანებულია:

- ✓ სკვა კერძო კოლეჯების ასოციაცია
- ✓ WISTA GEORGIA
- ✓ BSAMI - Black Sea Association of Maritime Institutions / საზღვაო ინსტიტუტების შავი ზღვის ასოციაცია
- ✓ Globalmet- Maritime Seafarer Training & Education Association / მეზღვაურების მომზადებისა და განათლების ასოციაცია
- ✓ IASST - International Association for Safety and Survival Training / უსაფრთხოებისა და გადარჩენის ტრენინგების საერთაშორისო ასოციაცია
- ✓ IMLA – International Maritime Lecturers’ Association / საზღვაო ლექტორთა საერთაშორისო ასოციაცია
- ✓ BIMCO - Baltic and International Maritime Council / ბალტიისპირეთის და საერთაშორისო საზღვაო საბჭო

7.5 ხარისხის მართვის სისტემის გამოყენების სფეროს განსაზღვრა

შპს ბუსსს ანრის ხარისხის მართვის სისტემა შემუშავებულია, შენარჩუნებულია და მუდმივად გაუმჯობესების პროცესშია სს ISO 9001:2015-ის მოთხოვნების შესაბამისად და



ორგანიზაციის კონტექსტი The Context of the Organization

წარმოადგენს იმ პირობების უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის დროსაც პროცესები, როგორც ფუნდამენტური ასევე შიდა, იდენტიფიცირებულია, დოკუმენტალურად განსაზღვრულია ნორმატიულ დოკუმენტებში და მართვადია ორგანიზაციული სტრუქტურის საფუძველზე;

ხარისხის უზრუნველყოფისთვის ხელმძღვანელობამ დოკუმენტურად შეიმუშავა, დანერგა და ინარჩუნებს მუშა მდგომარეობაში ხარისხის მართვის სისტემას სს ISO 9001:2015 მოთხოვნების შესაბამისობაზე;

ხარისხის მართვის სისტემა დაფუძნებულია სს ISO 9001:2015-ის შესაბამისი პროცესული მიდგომით. პროცესული მიდგომა იძლევა ორგანიზაციის ურთიერთდაკავშირებული პროცესების მართვის საშუალებას;

სახელმძღვანელომ იდენტიფიცირება გაუკეთა ხმს-ის პროცესებს. მართვის პროცესები მოიცავს ორგანიზაციის ყველა სახის საქმიანობას, პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის, ასევე მენეჯმენტის, რესურსების მართვისა და გაზომვის ფარგლებში. ხმს-ის პროცესების ურთიერთქმედება მოცემულია N2 ილუსტრაციაში;

ხმს-ის პროცესების განხორციელებისა და მართვის შედეგებისთვის გამოყენებული კრიტერიუმები და მეთოდები, მოყვანილია ორგანიზაციის შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტებში;

ხმს-ის პროცესების შენარჩუნებისა და მონიტორინგისთვის საჭირო რესურსების არსებობის უზრუნველყოფა ხდება, ორგანიზაციის საქმიანობის დაგეგმვის სისტემით;

შპს ბუსსს ანრი ახორციელებს ხმს-ის პროცესების მონიტორინგს, გაზომვასა და ანალიზს, ასევე ღებულობს ზომებს ამ პროცესების დადგენილი შედეგების მიღწევისა და მუდმივი გაუმჯობესებისთვის;

ხმს-ის პროცესების მართვა ხორციელდება სს ISO 9001:2015-ის მოთხოვნებისა და შიდა ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად და მისი შენარჩუნება ხდება ხმს-ის შიდა აუდიტის ჩატარებითა და ხელმძღვანელობის მხრიდან ხმს-ის ანალიზის განხორციელებით.

შპს ბუსსს ანრის ხარისხის მართვის სისტემა მოიცავს შემდეგ ფუნდამენტალურ პროცესებს, რომლის სისტემატიურ საფუძველსაც წარმოადგენს:



ორგანიზაციის კონტექსტი The Context of the Organization

საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლების მეთოდების შემუშავება, მეზღვაურთა თეორიული, პრაქტიკული და ტრენაჟორული მომზადება/გადამზადება.

ხმს-ის დანერგვის შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარების მიზნით შემუშავებულია ხარისხის მექანიზმები, რომლებიც მოიცავს შემდეგ პროცესებს:


- 1) შპს ბუსსს ანრის პოლიტიკისა და მიზნების დადგენა;
- 2) სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი;
- 3) შიდა გამოკითხვები/კმაყოფილების კვლევები;
- 4) ხარისხის მართვის სისტემისთვის საჭირო პროცესების განსაზღვრა, მათი თანმიმდევრობა, ურთიერთქმედება;
- 5) ნორმატიული დოკუმენტების შემუშავება და გაუმჯობესება, პროცესებზე, აუცილებელი სახელმძღვანელოების, დებულებების, სამუშაო ინსტრუქციების, გეგმების და სხვა დოკუმენტების შემუშავება, რომლებიც აღწერენ მოქმედი პროცესებისა და მოთხოვნების მართვისა და შემოწმების პროცესს;
- 6) პასუხისმგებლობებისა და უფლებების განაწილება;
- 7) პერსონალის მომზადება და სწავლება, მათ შორის ხარისხის მართვის საკითხებში;
- 8) ხარისხის შიდა შემოწმების ჩატარება;
- 9) მაკორექტირებელი და გამაფრთხილებელი ქმედებების დანერგვა;
- 10) პროცესების ანალიზის ჩატარება შემოწმების შედეგების საფუძველზე;
- 11) პროცესების გაუმჯობესების ღონისძიებების დანერგვა;
- 12) რისკებზე დაფუძნებული დაგეგმარება.



ორგანიზაციის კონტექსტი The Context of the Organization

ხარისხის მენეჯმენტის/მართვის სიტემა და მისი პროცესები

ილუსტრაცია N2



8. კონფიდენციალურობა

ორგანიზაციის კონტექსტი წარმოადგენს ბუსსს ანრის შიდა ნორმატიულ დოკუმენტს და არ ექვემდებარება მესამე მხარისთვის წარდგენას, გარდა აუდიტორებისა შიდა, გარე და ინსპექციური შემოწმების დროს.



ორგანიზაციის კონტექსტი
 The Context of the Organization

10. პერსონალის შინაგანწესთან გაცნობის ფურცელი

	სახელი, გავრი	თანამდებობა	გაცნობის ვადა	გაცნობის თარიღი	ხელმოწერა
1	თამთა ჩხეიძე	პროფესიულ სტუდენტებთან, მსმენელებთან და თანამშრომლებთან ურთიერთობის განყოფილების საქმისმწარმოებელი	28.01.2021		
2	მონიკა დიასამიძე	წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის საქმისმწარმოებელი	28.01.2021		
3	ნათია დიასამიძე	ადამიანური რესურსების მენეჯერი	28.01.2021		
4	სოფიკო მამულაძე	მთავარი ბუღალტერი	28.01.2021		
5	ირაკლი ბეჟანიძე	საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების უფროსი	28.01.2021		
6	ირაკლი წივწივაძე	საფინანსო განყოფილების უფროსი	28.01.2021		
7	ლონდა მიქელაძე	პროფესიული განათლების დეპარტამენტის საქმისმწარმოებელი	28.01.2021		
8	ომარ დიასამიძე	პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი	28.01.2021		
9	ჟუჟუნა დიასამიძე	ბიბლიოთეკარი	28.01.2021		
10	ირაკლი გოგიტიძე	შესყიდვების და სამეურნეო განყოფილების უფროსი	28.01.2021		
11	თამილა მიქელაძე	ექთანი	28.01.2021		
12	ანა მუშაშაძე	ბიბლიოთეკარი	28.01.2021		
13	ზურაბ დიასამიძე	შესყიდვების მენეჯერი	28.01.2021		
14	დავით ჩხაიძე	სასწავლო საამქროებისა და სახელოსნოების უფროსი	28.01.2021		
15	ბადრი გიორგაძე	სასწავლო გემის უფროსი მექანიკოსი	28.01.2021		
16	ალიკო ბარამიძე	სასწავლო გემის კაპიტანი	28.01.2021		
17	მაია დავითიანი	სასწავლო პროცესის მენეჯერი	28.01.2021		
18	მინდია თავართქილაძე	უსაფრთხოების მენეჯერი	28.01.2021		



ორგანიზაციის კონტექსტი
The Context of the Organization

11. შეთანხმების ფურცელი

ნაწილი 1. დოკუმენტის იდენტიფიკაცია, შემთანხმებელი პირების დანიშვნა

1.1 შეთანხმებული დოკუმენტის დასახელება, №

ორგანიზაციის კონტექსტი
The Context of the Organization

ნდ N-2-010102

1.2 ორგანიზაციის კონტექსტის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი:

ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი რუსუდან დიასამიძე
მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსი ვლადიმერ ზოგდანოვი
პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი გურამ ქათამაძე

1.3 შემსრულებელი _____ \ _____ \
_____ \ _____ \
_____ \ _____ \

ნაწილი 2.

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

	შემთანხმებლის თანამდებობა	ხელმოწერა	შეთანხმების რიცხვი	შენიშვნა
1	განათლების ხარისხის სპეციალისტი ლია ფარტენაძე			
2	გიორგი დიასამიძე იურიდიული განყოფილების უფროსი			

დოკუმენტი შესათანხმებლად წარადგინა: _____ ხელმოწერა _____ სახელი, გვარი _____ თარიღი